ესეების კონკურსი

„ჩემი ქვეყნის დემოკრატიული მომავალი''

კონკურსის დებულება

2023

ესეების კონკურსი

„ჩემი ქვეყნის დემოკრატიული მომავალი''

მუხლი1.ზოგადი დებულება

შპს.ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესი და შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში,დემოკრატიული ღირებულებების პოპულარიზაციის მიზნით, აცხადებს ესეების კონკურსს,რომელიც ეძღვნება 23 თებერვალს დაღუპულ ქართველ იუნკერთა ხსოვნას.კონკურსის ფარგლებში მოსწავლეები შექმნიან ესეებს, გაიაზრებენ დემოკრატიული ღირებულებების ძირითად არსს, ღირსების ხელშეუხებლობას, სამართლიანობას, სოლიდარობას და ტოლერანტობას, თავისუფლებას, თანასწორობას, ადამიანის უფლებების, კანონის, კულტურისა და ენობრივი მრავალფეროვნების პატივისცემას, გარემოზე ზრუნვასა და დისკრიმინაციის მიუღებლობას. თუ რა წარმოადგენს ხიდს საქართველოსა და ევროპულ სახელმწიფოებს შორის, უკეთ გაანალიზებენ საქართველოსა და ევროპის ერთაინობის იდეას.

მუხლი 2. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია:

1. მოსწავლეებში ევროინტეგრაციის პროცესებისადმი ცნობადობის ამაღლება და ინტერესის გაზრდა, ჩვენი ქვეყნის, როგორც ევროპული ოჯახის წევრის მნიშვნელობის გააზრება და განვრცობა.
2. დემოკრატიული მმართველობის სისტემის, როგორც ევროპის კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირებულების/ფასეულობის გააზრება და გაცნობიერება.
3. ენების, კერძოდ ინგლისური ენის პოპულარიზაცია და შეერთებული შტატების სამართლებრივ კონტექსტში გაცნობა;
4. კვლევის, ინფორმაციის დამუშავების, ანალიზის, შეფასების, კრიტიკული აზროვნებისა და პრეზენტაციის უნარების გამოვლენა და განვითარება;

მუხლი 3. საკონკურსო პირობები

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საჯარო და კერძო სკოლების **X, XI, XII** კლასის ყველა მოსწავლეს; ესე შექმნილი უნდა იყოს სპეციალურად ამ

კონკურსისთვის ქართულ ან ინგლისურ ენაზე; მოსწავლე თავად ირჩევს ენას რომელზეც შეასრულებს ნაშრომს.

2. საკონკურსო ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს მინიმუმ 250, მაქსიმუმ 300 სიტყვა (Word - ის ფორმატში).
3. ნაშრომის ბოლოს უნდა იყოს მითითებული სკოლის დასახელება, კლასი, ავტორის სახელი და გვარი, საკონტაქტო მონაცემები და ელ. მისამართი
4. ესე უნდა შეიქმნას სპეციალურად ამ კონკურსისთვის.
5. პლაგიატის შემთხვევაში ესე არ განიხილება.
6. პიროვნების შეურაცხმყოფელი, აგრესიული, არანორმატიული ლექსიკის შემცველი ტექსტის შემთხვევაში ესე ვერ მიღებს მონაწილეობას კონკურსში.

მუხლი 4. შეფასების კრიტერიუმები

1. დავალების პირობის ადეკვატური გაგება და გააზრება.
2. ესეს შინაარსის თემასთან შესაბამისობა;
3. აზრის ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდ გამოხატვა.
4. მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნების და შემოქმედებითობის უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა.
5. მორფოლოგიის, ორთოგრაფიის, სინტაქსისა და პუნქტუაციის დაცვა.
6. პრობლემის წარმოჩენა;
7. პრობლემის გადაჭრის გზის შეთავაზება და სათანადო დასაბუთება;
8. იდეის ორიგინალურად და ლაკონურად გადმოცემის უნარი;

მუხლი 5. კონკურსის ლოჯისტიკა:

1. კონკურსი ჩატარდება 1 ეტაპად
2. კონკურსის ჩატარებას ორგანიზებას უწევს სკოლის ადმინისტრაცია (მოსწავლეებისა და პედაგოგებისთვის საკონკურსო პირობების და ვადების გაცნობა, საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება და კონკურსის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა). საკონკურსო კომისიის მდივანი განახორციელებს კომისიის მუშაობის დაოქმებას.
3. კონკურსი ჩატარდება ქართულ-ამერიკული სკოლა „პროგრესის“ კამპუსებში, ქუთაისი(მისამართი:დ.აღმაშენებლის გამზირი N20, ბათუმი(მისამართი: შამილაძისქ.N30) და თბილისი (მისამართი: პოლიტკოვსკაიას N 39), კახეთისა და ზუგდიდის პარტნიორ სკოლებში.
4. კონკურსის მიმდინარეობისას იქნება ვიდეო კონტროლი, ასევე სპეციალურად გამოყოფილი მონიტორინგის ჯგუფი. დაუშვებელია კონკურსში მონაწილეს თან ქონდეს მობილური ტელეფონი და სხვა ატრიბუტი გარდა სასმელი წყლისა და საწერი კალმისა.
5. თითოეული მოსწავლე საკონკურსო ნამუშევარს შეასრულებს სპეციალურად კონკურსისთვის დადგენილ დღესა და საათზე, რომელიც კონკურსანტს ეცნობება 3 დღით ადრე ელექტრონული მისამართზე რომელიც მან მიუთითა

კონკურსზე რეგისტრაციისას. ესეს დასახელება მონაწილეებისთვის გამჟღავნდება წერის დაწყებამდე 5 წუთით ადრე.

6. საკონკურსო ნამუშევრების შეფასების კომისია შეარჩევს 3 საუკეთესო ნაშრომს.
7. სკოლის ადმინისტრაციას უფლება აქვს, სასკოლო ტურში გამარჯვებული ესეები, მისი ავტორის/ავტორების მითითებით განათავსოს სკოლის ვებგვერდზეwww.schoolprogress.ge , ასევე ინფორმაცია გაავრცელოს სოციალურ მედიაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოება

1.კომისია განიხილავს საკონკურსო ნამუშევრებს და გამოავლენს I, II, III ადგილზე გასულ გამარჯვებულებს ,რომლებიც დაჯილდოვდებიან ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის მიერ დაწესებული პრიზებითა და აშშ - ს საელჩოს მიერ გაცემული დიპლომებით.

შენიშვნა*: გამარჯვებულებს გამოავლენს სამართლებრივი აქტით დამტკიცებული კომისია. კომისია უფლებამოსილია, საკონკურსო მასალების შესრულების ხარისხიდან გამომდინარე, რომელიმე საპრიზო ადგილზე არ წარადგინოს გამარჯვებული.*

მუხლი 7. კონკურსის ვადები

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კონკურსის შესახებ ინფორმაციის გავრცელება არაუგვიანეს 2023 წლის 15თებერვლისა
2. მონაწილეთა რეგისტრაცია 16თებერვლიდან 23 თებერვლამდე:

https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSeQ3qB7aG8PgS1GnMtJc2x8VUoCG9xC4sMZ0yTaaETrpdng9g/viewform?usp=sf_link

3. მონაწილეთა საბოლოო რიცხოვნობის განსაზღვრა არაუგვიანეს 22 თებერვლისა
4. კონკურსის ჩატარება 25 თებერვალი;
5. გამარჯვებულების გამოვლენა - არაუგვიანეს 2023წლის 10მაისი;
6. დაჯილდოვების ცერემონიალი გაიმართება 20 მაისს

დამატებითი კითხვების შემთხვევაში შესაძლებელია მოგვწეროთ ელფოსტაზე: konkursi@schoolprogress.ge

ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის გუნდი
გისურვებთ წარმატებებს!